საქართ. შემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

შაბათი სექტემბრის 16 1922 წ.

ტფილ. ფასი 50სს მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ნინო დიმიტრის ასული, მეუღლე ვერა რომანის ასული, დეიდა მაკრინე დიმიტრის ასული, ძმა და და ზაქარია და სოფიო სულხანიშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას სექტემბრის 17 ანჩისხატის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

**გიორგი დავითის ძე სულხანიშვილის**

წირვა დაიწყება 10, პანაშვიდი 12 საათზე.

---

შაბათს, სექტემბრის 16, სად. 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ტფილისის ქალაქის

## საბჭოს აღმასკომის
### მორიგი სხდომა

ყველა წევრის თავის დროზე გამოცხადება სავალდებულოა.

1—1 მდივანი გ. ხუნდაძე.

კვირას, სექტემბრის 18, საღამოს 6 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში შესდგება ტფილისის ქალაქის

## საბჭოს პლენუმის
### მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. ახლო აღმოსავლეთის ამბები
2. ქალ. აღმასკომის კომუნალური პოლიტიკა.

ყველა წევრების თავის დროზე გამოცხადება სავალდებულო.

2—1 მდივანი: გ. ხუნდაძე.

---

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის

დადგენილების თანახმად ა. წ. სექტემბრის 30-თვის

## მოწვეულია
## სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
## მორიგი სესია,
### შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ. (მოხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) მიწათმოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ. (მომხსენებელია მიწათმოქმედების სახ. კომ. ს. თოდრია).
4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ. (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).
8) მოხსენება სიმშილზე. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხები ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

---

## კულტურული მუშაობისათვის

კულტურული მუშაობის საქმე ჩვენში ...ით მოდუნებული არის. ქართული ...ვნული კულტურა და მისი წარმატე... საქმე მეტად დიდს კრიზისს განიც...ს.

...როვნული და ხალხური კულტურის ...მე იმდენად დიდს საკითხს წარმოა...ენს ჩვენისთანა პატარა რესპუბლიკი...ვის, რომ მასზედ დიდს შეჩერება ... სათანადო ზომების გამომუშავება ...ო გასამართლებლად.

...ვენში კულტურული მუშაობის გაჩა...ბას მრავალი მიზეზი ელობება წინ. ...ს ისეთი მომენტები, ისტორიულად ...უშავებული პირობები, რომელნიც ...ს უშლიან დიდი მუშაობის გაჩაღე... ამ დარგში. კულტურულად ჩვენი ...ბი აუცილებლად დაწინაურებულია ...ს მეზობლებთან შედარებით, ხალხში დიდი მოთხოვნილება არის კულტურისა და სწავლა-განათლებისა, მეორეს მხრით, საკმაოდ მოზრდილი კადრი კულტურული ძალებისა გვყავს, მაგრამ პრაქტიკულად ეს ფაქტორები ვერ გამოგვიყენებია და ვერ გაგვიჩაღებია სალი მუშაობა კულტურის სფეროში. აქ არის მთავარი მიზეზი დამარხული იმ კრიზისისა, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით და რომელიც აუცილებლად თხოულობს დიდი ყურადღების მიქცევას.

სხვა მრავალ მიზეზთა შორის ამ გარემოებას ხელს უწყობს ის, რომ ჩვენში თითქმის არ არის კადრი პროფესიონალურ კულტურულ ძალებისა, არა გვყავს ისეთი პირები, რომელნიც მთელს თავიანთ ცხოვრებას მარტო კულტურულ საქმეს ახმარებდნენ და მისთვის იღვწოდნენ. მათი ეკონომიური მდგომარეობა და პირობები ხელს უშლის ასეთი როლი იქონიოს ჩვენმა მოღვაწეებმა და მათი ენერგიის უმეტესი ნაწილი ლუკმა პურის ძიებაში მიდის. მაშინ, როდესაც სხვა მდიდარ ქვეყნებში მწერლები და სახელოვანი მოღვაწეები თავიანთი პროფესიით აკმაყოფილებენ ყოველგვარ მოთხოვნილებებს, ჩვენში საუკეთესო ძალები ყოველდღიური ლუკმის შოვნაში ხარჯავენ უმთავრესს ენერგიასა და ხელოვნების საქმე მხოლოდ სხვათა შორის პროფესიად ხდება. ეს გარემოება ძლიერ აფერხებს ჩვენს წარმატებას, საუკეთესო კულტურულ ძალების ენერგია, შრომა და ცოდნა უმნიშვნელო რამეში იკარგება, ნიჭიერება და ერის კულტურულ საქმეს არ ხმარდება მინიმუმი იმ კულტურული ენერგიისა, რომელიც ფაქტიურად მის ხელში არის. ამ მიზეზის გამო ჩვენ ვერ გამოვიყენეთ ჩვენი ეროვნულ-კულტურული ძალები, ვერ მოვიხმარეთ შესაფერისად მათი ცოდნა და ამიტომ ჩვენი კულტურის კრიზისის წინაშე დავსდექით.

ეს გარემოება ჩვენ გვიკარნახებს, რომ კრიზისის გადატანა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ თუ ჩვენ ყურადღებას ამ მხარესაც მივაქცევთ. ჩვენ უნდა შევქმნათ პროფესიონალური კულტურული ძალები და მათი მიზანშეწონილი მობილიზაცია უნდა მოვახდინოთ. მწერალი, ლიტერატორი, ყოველი ხელოვანი, მსწავლული და მასწავლებელი უმთავრესად თავის მაღალ მისიას უნდა ემსახურებოდეს და მისთვის ხარჯავდეს მთელს თავის ენერგიას. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ, თუ შესაფერისს დახმარებას აღმოუჩენთ მათ. პირადი ინიციატივით და ძალღონით ჩვენში შეუძლებელია ასეთი რამეების მოხდენა. ჩვენი ცხოვრების ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ ასეთი მობილიზაციის მოხდენა და პროფესიონალურ კულტურულ ძალების შექმნა პირადი ინიციატივის გზით ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ამ გარემოებას არსებითი ყურადღება უნდა მიაქციოს და თავისი დახმარებით, მატერიალური და ზნეობრივი უზრუნველყოფით ხელი შეუწყოს კულტურულ ძალების მობილიზაციასა და მათს მხოლოდ კულტურულ საქმეებისათვის ამოძრავებას. გარეშე ამ ნაბიჯისა ჩვენ ვერ ვეღირსებით წარმატებას და მეტად სამწუხარო კატასტროფის წინაშე დავდგებით.

ჩვენი კულტურა შეუძლებელია განვითარდეს და წარმატებას ეღირსოს უმაღლესი ხელისუფლების დახმარების გარეშე. სახელმწიფო ძალა-უფლება ამ შემთხვევაში უნდა გამოვიდეს მთელი თავისი აპარატით და შესაფერისი დახმარება უნდა გაუწიოს კულტურულ ორგანოებსა და ძალების არსებობას. პოლიტიკა და ხელოვნება, კულტურა ამ ნიადაგზედ უნდა შეერიგდნენ და მათი მიზანშეწონილი შეთანხმებული ამოძრავება უნდა მოხდეს. ეს არის ერთად ერთი სწორი და აუცილებელი გზა. პრაქტიკულად ჩვენთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს და თანამედროვე პირობებში სხვაგვარ ზომებს ვერ გამოვიყენებთ პრაქტიკულად, რომ შესაფერისი სარგებლობა მოგვიტანოს. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ ქართულ თეატრის საქმე. არავისათვის დასამალი არ არის, რომ ჩვენი თეატრი დიდს კრიზისს განიცდის ყოველის მხრით. შარშანდელმა სეზონმა დაგვარწმუნა იმაში, რომ ჩვენი თეატრი ვერც ერთის მხრივ ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებას; თეატრი ჩამორჩა საზოგადოების განვითარებას, მის ესთეტიკურ გემოვნებას. ჩვენი ხალხი ძველი სათეატრო ხელოვნებით ვეღარ კმაყოფილდება და ჩვენს თეატრს კი მეტის მიცემა არ შეუძლია, ახალი ტექნიკა და კულტურა უცხო ხილი არის მისთვის. ამიტომ საზოგადოება გაურბის ჩვენს თეატრებსა და იგიც საშინელს კრიზისში იღრჩობა. სად არის ამის მიზეზი? განა საფიქრებელია, რომ ჩვენი ნიჭიერი არტისტები არ გვყავდეს და თეატრის მცოდნე პირებით არ ვიყოთ დაჯილდოებული? რასაკვირველია, არა. ჩვენში ერთიც არის და მეორეც, მაგრამ არ არის შესაძლებლობა მათი გამოყენებისა, მათი განვითარების და ახალს ნიადაგზედ აღზრდის. თუ ქართულს თეატრს სახელმწიფომ ყოველ მხრივ დახმარება არ გაუწია და არ გამოვიდა ამ დარგში ფართო გეგმებით, ჩვენ აუცილებლად დავსდგებით ქართული თეატრის კატასტროფის წინაშე. ჩვენი თეატრი კრიზისს განიცდის როგორც მატერიალურად, ისე კულტურულად.

ორივე მომენტი დახმარებას მოითხოვს სახელმწიფოსაგან. მატერიალურად თუ არ გაუზრუნველყავით თეატრი, ის ერთს ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ თავისი ძალღონით, ვერ მოაწესრიგებს თავის საქმეებსა და დაიქცევა. თეატრის ასეთი კრიზისი იწვევს სათეატრო ძალების იქიდან გაქცევასა და მის შემცირებას. ესეც დეზერტირობის ახალი ფორმა არის.

მეორეს მხრით, რამდენი საუკეთესო ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა მოითხოვს შემდეგს განვითარებას, ახალ ტექნიკის ზიარებას! განა საჭირო არ არის სათეატრო ნორჩი თაობის აღზრდა და მათი შესაფერისად მომზადება. რა ხდება ამ მიმართულებით, არის რამე მუშაობა? ძლიერ მცირე და ეს კი არ შეიძლება არ აღინიშნოს, როგორც ჩვენი ჩამორჩენის ერთი დამახასიათებელი ფაქტი. ძველი მეთოდებით, ძველი ტექნიკით და კულტურით ჩვენს თეატრს ვერ აღვადგენთ, საჭიროა ახალი კადრი კულტურულ ძალებისა და ამ მიმართულებით კი არაფერი არ კეთდება.

მაგრამ, რომელი დარგი ჩვენი კულტურისა არ განიცდის კრიზისს ასეთი მიმართებით, რომელი დარგი არის, რომ აღჭურვილი იყოს სრულის დახმარებით? მთელი ჩვენი კულტურა და მისი საქმიანობა კრიზისს განიცდის და ამ გარემოებას დიდი ყურადღების მიქცევა ესაჭიროება.

ჩვენში დიდი მუშაობა სწარმოებს სამეურნეო ფრონტზედ, დიდი ენერგია იხარჯება ჩვენი ეკონომიური ცხოვრების აღდგენისათვის, დიდი მობილიზაცია ხდება ამ დარგში გამოცდილი ძალებისა და სპეცების მობილიზაციისათვის, არის ფართო გეგმები და მიზანშეწონილი მუშაობა ამ მიმართულებით, ეს ყოველივე ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დაჩრდილოს სხვა დარგები ჩვენი ცხოვრებისა, არ დაფაროს ჩვენი საბრძოლველი სხვა ფრონტები.

ამა თვალი გადავავლოთ ჩვენს კულტურულს მუშაობას, თუ არის ერთი მესამედიც იმისა, რაც ხდება სხვა მიმართულებით!

დრო არის ამ ფრონტზედაც გავაჩაღოთ ფართო შეტევა და შემოქმედებითი მუშაობა; გავშალოთ მიზანშეწონილი გეგმები და ხელი შევუწყოთ ერის კულტურულ აღორძინებასაც

ს. დევიანი.

---

## ნარკვევი

სენ-ჟერმენის ხელშეკრულებით გაუქმებულ იქმნა ავსტრო-უნგრეთის მონარქია და მისი ნაწილებისაგან დაარსდა დამოუკიდებელი სახელმწიფოები: ავსტრია, უნგრეთი და ჩეხო-სლოვაკია; ნაწილი კი შეუერთეს სამხრეთ-სლავიას და იტალიას.

ავსტრიას უჭირავს შედარებით პატარა ტერიტორია 6 მილიონ მცხოვრებით. ავსტრო-უნგრეთის გაუქმებით დაინგრა უწინდელი სამეურნეო კომპლექსიც და ავსტრია მოექცა ისეთ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში, რომელმაც ის უკანასკნელ დღეში ჩააგდო, მაგ. ავსტრიის კრონა ისე დაეცა, რომ ციურიხში 100 ავსტრიული კრონა ღირდა ერთი სანტიმის მცირე ნაწილი. ამა წლის მარტში დოლარი ღირდა ვენაში 6,0.0 კრონი, უკანასკნელად კი მიაღწია 72,000-ს. ავსტრიის კრონის გაიაფებას თან მოჰყვება საერთო სიძვირე. ოფიციალური ცნობებით, მარტო ივლისის განმავლობაში სიძვირემ იმატა 124 პროცენტით; მუშათა პრესის გამოანგარიშებით კი—234 პროცენტით. აგვისტოს 7 ისათვის, ოფიციალური ცნობით, გამოშვებული იყო 833 მილიონი კრონი, უზრუნველყოფილი 46 მილიონი ლითონის კრონით და აქედან მხოლოდ 1.107.000 კრონი იყო ოქროსი. აგვისტოს ერთი კვირის განმავლობაში გამოუშვეს 47 მილიარდი კრონი, თვიური ემისია კი ნავარაუდევია 150—200 მილიარდი.

ასეთი კატასტროფიული დაცემა ფულის ღირებულებისა და სიძვირის ზრდა იწვევს მასების მღელვარებას.

4 წლის განმავლობაში ანტანტის სახელმწიფოები ჰპირდებოდნენ ავსტრიას ფინანსიურ დახმარებას და მისი არ მიცემის მუქარით ავსტრიის მთავრობას აკეთებინებდნენ, რაც ანტანტას სურდა. ავსტრიის მთავრობა მოქმედებდა ანტანტას ჩვენებით არა მარტო საგარეო პოლიტიკაში, არამედ შინაგან სოციალურ და პოლიტიკურ კანონმდებლობაშიაც. ასე, მაგ. დაარსებისთანავე ანტანტამ ნება არ მისცა ავსტრიას გერმანიასთან შეერთებისა და სამაგიეროდ კრედიტებს შეჰპირდა. 1921 წ. მაისში ზალცბურგმა და ტიროლმა საყოველთაო ხმის მიცემით გამოაცხადეს თავის სურვილი გერმანიასთან შეერთებისა, მაგრამ ანტანტის წარმომადგენლებმა კრედიტების არ მიცემის მუქარით გააუქმებინეს ზალცბურგის და ტიროლის დადგენილება და შეაწყვეტინეს შემდეგში ასეთი რეფერენდუმების მოწყობა. ამ წლის დასაწყისში ანტანტის წარმომადგენელთა გავლენით ავსტრიის რესპუბლიკამ შეუწყვიტა დახმარების გაცემა სურსათზე ფასების დაწევის მიზნით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა წამოიჭრებოდა რევოლიუციური აფეთქების შიში, რუსეთის მთავრობა, ან ესა თუ ის მოკავშირეთაგანი აძლევდნენ უმნიშვნელო დახმარებას სურსათის ან სათბობ მასალის შესაძენად. მაგრამ დაპირებულ კრედიტებს ავსტრია ვერ ეღირსა, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობაზეც კი ხელი აიღო თითქმის. ამა წლის მარტში ავსტრიაში შეიქნა მთავრობის კრიზისი და მინისტრ-პრეზიდენტი შობერი უნდა გადამდგარიყო. მაგრამ ინგლისის კომისარის მოთხოვნით, რომელიც ფაქტიურად არის ანგლო-ავსტრიის ბანკის ერთი ხელმძღვანელთაგანი, სახელდობრ მისტერ იუნგის მოთხოვნით, შობერი დატოვებულ იქნა თავის პოსტზედ.

ერთის მხრით მოსალოდნელმა კატასტროფამ და, მეორეს მხრით მასების გავლენამ აიძულა ახლანდელი მთავრობა ალაპარაკებულიყო ავსტრიის „ფინანსიური ხსნის" შესახებ. შეიმუშავეს პროექტი ავსტრიის ფინანსების ხსნისა, რომელიც ემყარებოდა არა უცხოეთის დახმარებაზედ, არამედ ავსტრიის ხალხის თვით დახმარებაზედ. პროექტის მთავარი პუნქტი შეიცავდა კერძო საემისიო ბანკის დაარსებას, რომლის ძირითადი თანხა, 100 მილიონი შვეიცარული ფრანკით უნდა დაეფარა ავსტრიის ბანკებს უცხო ვალიუტით. კანონ-პროექტი გაიყვანეს პარლამენტში და არავითარი დაბრკოლება მოელოდა. მაგრამ ეს ცდაც გაკოტრდა იმიტომ, რომ დიდი ბანკები ვენაში, როგორიცაა: ანგლო-ბანკი (ინგლისისა), ლენდლერ ბანკი (საფრანგეთისა), დეპოზიტენ-ბანკი (იტალიისა) და ესკონტო-ბანკი (ბელგიისა) წარმოადგენენ უცხო კაპიტალის ექსპოზიტურას, და ამ ბანკებმა განაცხადეს, რომ იმ პირობით მიიღებენ მონაწილეობას საემისიო ბანკში, თუ ანტანტა კრედიტს მისცემს ავსტრიას.

ლონდონის კონფერენციაზედ ავსტრიის ელჩმა ლონდონში, თავის მთავრობის წინადადებით მიმართა მონაწილეთ თხოვნით აღმოეჩინათ ავსტრიისათვის დახმარება 15 მილიონი გირვანქა სტერლინგის კრედიტით. ლოიდ-ჯორჯის წინადადებით, ეს თხოვნა გადაეცა ერთა ლიგას გადასაწყვეტად, ე. ი. გადაიდო, რაც სასიკვდილო განაჩენია ავსტრიისათვის, ვინაიდან ამ გარემოებამ ხსენებულ ბანკებს უარი ათქმევინა დაპირებებზედ და ავსტრიის „ხსნის" გეგმაც დაინგრა.

არა ნაკლები გავლენა ჰქონდა ავსტრიის ფინანსებზედ შინაგან კლასობრივ ურთიერთობას. შეძლებული კლასები მრავალი ძალით გავლენას ახდენდნენ მთავრობაზე და აიძულებდნენ მთელი საგადასახადო პოლიტიკა აეგოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა პირდაპირი გადასახადითა პრინციპზედ. ასე. მაგ. 1922 წ. პრელიმინარულ ბიუჯეტში 93 მილიარდი კრონიდან, რომელიც ნაგულისხმევია როგორც სახელმწიფო შემოსავალი, პირდაპირ გადასახადზედ მოდიოდა სულ 8 მილიარდი. დამატებით ბიუჯეტში შემოსავლის 294 მილიარდში, სულ 17 მილიარდი უწევდა პირდაპირ გადასახადს. ბუნებრივია, რომ მხოლოდ არა პირდაპირი გადასახადით ავსტრიის ხაზინა ვერ შეაგროვებდა საკმაო თანხას სახელმწიფო აპარატის შესანახად. შეძლებული კლასები და ბანკები, რომელთაც კავშირი აქვთ უცხო კაპიტალთან, მუდამ ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდენ ყოველ ცდას, რომ გადასახადი მათზე გადაეტანათ. ყოველ შემთხვევაში ამას ვერ შეებრძოლება ზეპელის კოალიციონური მთავრობა. ავსტრიის სოციალ-დემოკრატია ისე გაიტაცა რესპუბლიკის, როგორც ასეთის შენარჩუნებამ, რომ მზადაა ამას შესწიროს ძირითადი პრინციპებიც და კაპიტალისტების იერიშების დროს მუდამ ხელს იღებდა ორგანიზაციაზედ. კიდევ მეტი: ეს პარტია სიტყვით, ხალხის გასაგონად ოპოზიციას აწარმოებდა; საქმით კი მიდიოდა ბურჟუაზიულ მთავრობებთან ერთად და ხშირად მოთავე იყო ამა თუ იმ კომპრომისისა ხალხის ანგარიშზედ. ობიექტიურად სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა იცავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს მისი შესანახი ხარჯების მშრომელთა ფართე მასებზედ გადახდით.

ბურჟუაზიამ არა ერთხელ შეაძლია სოციალ-დემოკრატიას ძალაუფლება, მაგრამ ის თეატრალური ოპოზიციის შესანარჩუნებლად მუდამ უარს ამბობდა. ამავე დროს ყოველ ოპოზიციურ გამოსვლას ათავებდა დათმობით ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ამის გამო უძლიერესმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ ვერ განახორციელა ვერც ერთი დებულება, რომელიც მისი მოთხოვნით საფუძვლად დაედო (1921 წ. მარტში) შობერის მთავრობის და მისი ფინანსთა მინისტრის მიურტლერის საფინანსო პროგრამას.

მას შემდეგ, რაც ლონდონის კონფერენციამ უარით უპასუხა კრედიტებზედ, ყოველი იმედი გაქრა როგორც შინაგან, ისე გარედან დახმარების მიღებაზედ. წამოიჭრა საკითხი თვით რესპუბლიკის არსებობისა. ავსტრიის სოციალ-დემოკრატია და პანგერმანისტები მოითხოვენ, რომ წარუდგინონ ანტანტას ულტიმატუმი: თუ განსაზღვრულ დროში კრედიტს არ მოგვცემენ, შევუერთდებით გერმანიასო.

ბანკებთან დაახლოვებული წრეები, რომელიც ემყარება ანტანტის ფინანსიურ კაპიტალს, აყენებს იდეას ავსტრიის ოკუპაციისა მოკავშირეთა ჯარებით და მისი ერთა ლიგის გამგებლობაში გადაცემისა.

უეჭველია, რომ ავსტრიის ფაქტიური დიქტატორები, დიდი ბანკები, გრძნობენ, რომ არსებულ პირობებში შეუძლებელია გადამჭრელი ზომების მიღება როგორც კაპიტალისტური სისტემის დასაცავად, ისე მუშების ბრძოლით მონაპოვართა გასაუქმებლად, როგორიც არის 8 ს. სამუშაო დღე, ხელფასის რეგულიაცია კანონმდებლობით და სხ. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა უცხოელთა იარაღის საშუალებით დაიმორჩილებენ მშრომელ ხალხს.

ამ რიგად ავსტრიის პრობლემა დასმულია, მაგრამ შესაძლებელია თუ არა მისი გადაჭრა არსებულ პირობებში? ეს პრობლემა შეიცავს ისეთ პირობათა შექმნას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ავსტრიის არსებობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უნდა შეუერთდეს ერთ ერთ ცენტრალ-ევროპის სახელმწიფოს.

მაგრამ უკანასკნელი გამოსავალიც ხვდება დაბრკოლებებს ანტანტის სახელმწიფოთა ურთი ერთობაში. ავსტრიის შეერთება გერმანიასთან, ან მის შესვლა დუნაის ფედერაციაში იმდენად არღვევს ძალთა ურთიერთობას ცენტრალ ევროპაში, რომ მისი დადებითად გადაწყვეტა საეჭვოა.

აგვისტოს შუა რიცხვებში ავსტრიის მთავრობამ განაცხადა მოკავშირეებისადმი მიმართვაში, რომ თუ ანტანტა არ მისცემს ავსტრიას დახმარების გარანტიებს, მთავრობა და ყველა პარტიები ხელს აიღებენ ძალა-უფლებაზედ და გადასცემენ მას ანტანტას. ავსტრიის ბურჟუაზია და ბანკები ავსტრიის მთავრობის პირით წინადადებას აძლევენ ანტანტას გადააქციონ ავსტრიის რესპუბლიკა კოლონიად და სამხედრო რეჟიმის შემოღებით შექმნან ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველყოფს ექსპლოატაციის თავისუფლებას. ასეთია შედეგი სენ ჟერმენის სამშვიდობო ხელშეკრულებისა და ანტანტის მზრუნველობისა.

(ეკონომიჩესკაია ჟიზნ № 193).

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**საფრანგეთ-ინგლისის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში.** გაზეთი „იზვესტია“-ს (№ 193) მოწინავე ეხება საბერძნეთ-ოსმალეთის ომს და აღნიშნავს; ტელეგრაფმა გვაუწყა, რომ ინგლისი, ანატოლიაში ახალ სამხედრო მოქმედების დაწყებასთან დაკავშირებით, არ მოითხოვს კონფერენციის დაწყების პირობათ ოსმალეთ-საბერძნეთს შორის დროებითი ზავის დადებას. ინგლისი ახლო წარსულში სულ სხვა ნიადაგზე იდგა ამ მხრივ. რით აიხსნება ასეთი ფრონტის ცვლაო, კითხულობს გაზეთი და უპასუხებს, რომ მდგომარეობა ანატოლიის ფრონტზედ ისეთია, რომ ბრიტანეთის მთავრობა მზად არის უარი სთქვას დროებითი ზავის შესახებ, რადგან ცხადია, რომ არც ოსმალეთი შეაჩერებს თავის მსვლელობის გამარჯვების მდგომარეობაში მყოფი და არც საფრანგეთი დაიახმდება მოლაპარაკებაზე, რადგან იგი დაინტერესებულია ოსმალეთის გამარჯვებით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ საბერძნეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც სხვა დროს ცხარე დისკუსიის საგნად გახდებოდა, დღეს იგი სერიოზულ ადგილს ვერ იჭერს ევროპის პრესაში, რადგან ამ ფაქტში მარხია ის კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, რომელნიც ჰყოფს ევროპის ინტერესებს. მართალია ომი სწარმოებს ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ამ ომს გულმშვიდათ არ უყურებენ ევროპის სახელმწიფონი და განსაკუთრებით საფრანგეთი და ინგლისი, რომელნიც ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალებს რაზმავენ. არსებითად ომში მონაწილეობას იღებს ევროპა, რომელმაც ამ ახლო წარსულში მორჩა დიდ იმპერიალისტურ ომებს.

ოსმალეთ-საბერძნეთის ომი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელიც არის საფრანგეთსა და ინგლისს შორის და რომლის შესახებ აშკარად ლაპარაკობს უკვე პრესა. ათინის კორესპონდენტი „დეილი ნიუზი“-ს გადმოგვცემს, რომ საბერძნეთში არის გაბატონებული აზრი, რომ ის იბრძვის არა მარტო ოსმალეთის წინააღმდეგ, არამედ საფრანგეთის, იტალიის და რუსეთის წინააღმდეგაც, რომლიდგანაც ოსმალეთი ღებულობს ამუნიციას, არტილერიას და სხვ.

თავისი მხრით ინგლისის პრესაც აღნიშნავს, რომ ოსმალეთის მოქმედება იმყოფება საფრანგეთის გავლენის ქვეშ და პარიზმა წინასწარ იცოდა ოსმალეთის მოქმედებაო.

საფრანგეთს სურს თავის ჰეგემონიის შექმნა და ამისათვის მისთვის საჭირო ხდება ინგლისის წინააღმდეგ ქონდეს რაიმე დასაყრდენი. ამ მხრივ საფრანგეთი ვითომც მხარს უჭერს „განმათავისუფლებელ მოძრაობას“ ოსმალეთში, მაგრამ მისი მიზანი, როგორც ვიცით სხვაა.

გაზეთი დასძენს, რომ როგორც სარეპარაციო საკითხი, ისე ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები იმის სურათია, რომ ევროპა გამოუვალ ქუჩაბანში იმყოფება.

# სასამართლო განსაცდელში *)

„საბჭოთა პრესის ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანათაგანია სხვა და სხვა თანამდებობის პირთა და დაწესებულებათა დანაშაულობის გამოაშკარავება... შეცდომებზე მითითება.“

რ. კ. პ. მე-8 ყრილობის რეზოლუციიდან „პარტიულ და საბჭოთა პრესის შესახებ.“

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემმა პირველმა წერილმა ძლიერ გააწყენა ზოგიერთი ჩვენი მესვეურები, რომლებსაც ის ეხებოდა... განსაკუთრებით გამიჯავრდნენ სახ. მოს. საბჭოს პრეზიდიუმის (დანიშნული) წევრები და, რადგანაც მე სახ. მოსამართლე ვარ, პასუხი მომთხოვეს, როგორც მოსამართლეს ადმინისტრატიული წესით, თითქოს რაიმე სამსახურის მოვალეობა დამერღვიოს ამ წერილის დაწერით. მაგრამ როგორც იყო, დავარწმუნეთ ეს ძველი იურისტები, რომ სახ. მოსამართლე იმავე დროს მოქალაქეც არის და მოხსენებული წერილის გაზეთში მოთავსება სრულებითაც არ შეადგენს სამსახურის მოვალეობის აღსრულებას ან მის დარღვევას...

ამნაირად გათავდა ეს პირველი ინციდენტი და ახლა მეძლევა შეძლება განვაგრძო წერა სასამართლოს დეფექტების შესახებ.

5) საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკურმა ევოლიუციამ თვალუწვდენელ მანძილით გაუსწრო წინ ეკონომიურ ევოლიუციას. შექმნილი გარემოება იმდენად დამაფიქრებელია, დისჰარმონია იმდენად ღრმა არის, რომ სოციოლოგიის თვალსაზრისით ასეთი საზოგადოების ხანგრძლივი არსებობა ძნელი წარმოსადგენია. ბუნება მოითხოვს სტატიკურ ჰარმონიის აღდგენას და იგი უნდა აღდგენილი იქმნას.

თავისთავად ცხადია, ჩვენ უნდა ავიყვანოთ ეკონომიკა პოლიტიკურ განვითარების დონემდის, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ბუნება ბრმად—თავის შეუბრალებელი აუცილებლობით ჩამოიყვანს პოლიტიკას დღევანდელ ეკონომიურ განვითარების დონემდის და მაშინ ჩვენი სიმწრით აგებული პოლიტიკური შენობა—ჩვენი სიამაყე—თავზედ დაგვენგრევა ბაბილონის გოდოლივით.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც მოგვევლინა, როგორც სოციალური მეხთამცდენი ბუნების რისხვის თავიდან ასაცილებლად, არ კმარა ამისთვის: ის ფრიად მერყევი ხიდია—უფსკრულზედ გადებული—მას გამაგრება სჭირდება რკინისებური საზოგადოებრივი დისციპლინის შექმნით...

სანამდის კანონები მარტის დღესავით იცვლებიან—სანამდის არ გვექნება მტკიცე, ურყევი და უზრუნველმყოფელი კანონები, სანამდის კანონიერება არ გაბატონდება და მისი სადარაჯო—ნორმალური სასამართლო კარგად არ მოეწყობა, მანამდის საზოგადოებრივი მყუდროება არ გამეფდება, მანამდის დამფრთხალი ეკონომიური შემოქმედებითი ძალა თავის სოროდან არ გამოჩნდება, არ დაგვეწყობა და გულდასმით მიზანშეწონილად არ ამუშავდება: „Legum serui esse debemus ut liberi esse rossimus“, (ე. ი. კანონიერების გაბატონება შობს ნამდვილ თავისუფლებას)

6) რევოლიუციის პირველ დღეებში სოციალურმა სტიქიონმა მუშათა და გლეხთა სახით წარმოშვა იდეა ერთი ტიპის სასამართლოს შესახებ, რაზედაც დიდიხანია ოცნებობდა მეცნიერება, და განახორციელა ის სახ. სასამართლოს შექმნით, მაგრამ კონსერვატიულმა ინტელიგენციამ, რომელმაც შეიპყრა ეს ნორჩი ქმნილება, ძველი მამა-პაპურ გზაზედ დააყენა იგი და დღეს, როგორც ვხედავთ, სხვა და სხვა უწყებები თავთავის სასამართლოებს იწყობენ; სამიწადმოქმედო კომისარიატმა უკვე მოაწყო თავის სასამართლო სამიწადმოქმედო კომისიის სახით, იმავე გზას ადგია სამხედრო კომისარიატიც და სხ... არავითარი საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ კომისია უფრო სანდოა სახ. სასამართლოზედ ან რომ კომისიის სინიდისი სჯობია იმის სინიდისს და უფრო სისწორით აწარმოებს და დაიცავს კანონებს, ვიდრე სახ. სასამართლო, არ არის და, რასაკვირველია, არც შეიძლება იყოსო; თუ საქმისთვის საჭიროა სპეციალური ცოდნა, ამისთვის არსებობს საზოგადო საშუალება—ექსპერტიზა, მხოლოდ თუ მთელი დარგი საქმეებისა განსაკუთრებული ტიპისაა, მაშინ შესაძლებელია შემოღება სპეციალიზაციისა, როგორც, მაგალითად, დღეს არსებობს რკინის გზის სახ. სასამართლო. ერთი სიტყვით, არსებობა პარალელურ სასამართლოებისა, როგორიც არიან სამიწადმოქმედო კომისიები, არაფრით არ გამართლდება და ეს უკანასკნელები დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდნენ—ყველა მათი საქმეები უნდა დაუბრუნდნენ კუთვნილებისამებრ სახ. სასამართლოებს.

რაც შეეხება საგანგებო კომისიებს და რევოლიუციონურ ტრიბუნალებს—მათი ფართოდ მოქმედება ფაქტიურად რეაქციასთან საბრძოლველად რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც ნორმალური სასამართლო არ იყო და კიდევაც რომ ყოფილიყო—ვერაფერს გახდებოდა, აუცილებლობას წარმოადგენდა, დღეს კი—ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ხანაში, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება საგრძნობლად დაცხრა და ნორმალური სასამართლოები ამუშავდნენ, ფართოდ მოქმედება ამ (დროებითი) მხოლოდ ანორმალური დროისთვის შექმნილ სასამართლოებისა, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენ, პირიქით—მავნებელიცაა სოციალურ მყუდროებისა და ეკონომიურ განვითარებისთვის. ამიტომ ყველა მათი საქმეები, გარდა პოლიტიკურისა, დაუყოვნებლივ უნდა გარდაეცეს სათანადო სახ. სასამართლოებს, რომლების რიცხვი, რასაკვირველია, შესაფერად უნდა გამრავლდეს...

ამნაირად, უნდა განხორციელდეს რევოლიუციის მონაპოვარი დიდებული იდეა ერთი ტიპის სასამართლოს შესახებ, რაც სავსებით ეთანხმება მეცნიერებას: სოციოლოგიის თვალსაზრისით სასამართლოს სწორი და სწრაფი განვითარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ინტეგრაციული და დიფერენციაციული ტრიალი ხდება მთლიანად ერთ (ვცემის) ტიპის სფეროში, როდესაც მთელი შემოქმედებითი ენერგია სცემს ერთსა და იმავე წერტილში.

7) როგორც ვიცით, ბოლშევიკურ გარდატრიალებისას ჩვენ დავაარსეთ იმდენი სახ. სასამართლოები, რამდენიც იყო სამომრიგებლო სასამართლოები და გარდავეცით მათ ამ უკანასკნელების საქმეები. გარდა ამისა, იმავე სახ. სასამართლოებს (იმავე რიცხვს) დავაკისრეთ ყველა სხვა გაუქმებულ სასამართლოს დაქვემდებარებულ საქმეების წარმოება—ოლქიდან დაწყებული—სასამართლო პალატამდის—და პროკურორების მოვალეობაც... ამის შემდეგ, სახ. სასამართლოები და მათი შტატები ერთი ორად შევამოკლეთ... და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სახ. სასამართლო კოლეგიალურია და ამის გამო მისი მოქმედება ორჯერ უფრო ნელია, ვიდრე ყოფ. სამომრიგებლო სასამართლოსი, ჩვენ წარმოგვიდგება სრული სურათი იმ უსაზომო ტვირთისა, რომელიც აწევს დღეს ჩვენ სახ. სასამართლოს... განა შესაძლებელია ასეთ პირობებში ნორმალურად მუშაობა?

სასამართლო ისრისება უზარმაზარ ლოდის ქვეშ და სულს ღაფავს სიმწრისაგან ესა წაგდებული...

ეს დიდი დანაშაულობაა იუსტიციის უწყების ხელმძღვანელებისა, რომლებმაც ვერ გაამართლეს თავისი დანიშნულება, ვერ დაიცვეს უწყების არსებითი ინტერესები..

სახ. სასამართლო ერთად ერთი ნორმალური სასამართლოა რესპუბლიკაში. ის „ა“ და „ჰ“ იუსტიციის უწყებისა... ის მიზანია და გამართლება მისი არსებობისა და ღირსი იყო მეტი ყურადღებისა...

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაჩქარებით უნდა იქნას აღდგენილი წინანდელი რიცხვი (მაინც) სახ. სასამართლოებისა, განსაკუთრებით მაზრებში, სადაც მშრომელი საზოგადოება იძულებულია იაროს 30—60 ვერსის მანძილზედ კისრამდის ტალახში, რადგანაც, როგორც ვიცით, სიშორე და სიძნელე (დატვირთულობის გამო) სასამართლოებისა ანვითარებს თვითნებობას და აბრუნებს საზოგადოებას ველურ მდგომარეობაში, როდესაც მხარეები თავის მკლავით და კბილებით სჭრიდნენ სამართალს.

(შემდეგი იქნება)

მამია გაბუნია.

*) იხ. „ტრიბუნა“ № 268.

# საბერძნეთ ოსმალეთის ომი

**სტამბოლის ირგვლივ**

**ჰანოვერი.** 14 სექტ. „დეილი გერალდი“ აცხადებს, რომ ლონდონის ცნობების მიხედვით, ინგლისი, დარდანელისადმი საკუთარი ინტერესების გამო, დაიცავს სრუტეებს ან სხვა მოკავშირეების დახმარებით, ან საკუთარი ძალებით.

**ჰანოვერი.** 14 სექტ. ლონდონის ცნობების მიხედვით ინგლისის მთავრობამ სამშაბათს გადასცა საფრანგეთის მთავრობას მემორანდუმი, რომლის ძალითაც სტამბოლის უმაღლესი კ[illegible] სტამბოლისა და სრუტეების საკითხებში.

**ჰანოვერი.** 14 სექტ. სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით, ბერძნების მიერ განთავისუფლებულ მრამარილოს ზღვის განაპირა ადგილები დაიკავეს ფრანგებმა.

**ნაუენი.** 14 სექტ. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა გასცეს ბრძანება დარდანელის აზიის განაპირა ნეიტრალური ზონის საზღვრებზე აღმართონ მოკავშირეების ფლოტები, რათა დაანახვონ ყველას, რომ ანტანტას განზრახვა აქვს დაიცვას ეს რაიონები ვისიმე თავდასხმისაგან.

**ბორდო.** 14 სექტ. საფრანგეთის წარმომადგენელმა ინგლისში დე-მენტელმა აცნობა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ საფრანგეთის მთავრობა უერთდება ინგლისის მთავრობას სრუტეების საკითხში.

**ბორდო.** 14 სექტ. საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის რაზმების გადმოსხმა ჩანაკში, დარდანელის აზიის ნაპირზე და სკუტარში ამტკიცებს მოკავშირეების განზრახვას დაიცვან სტამბოლი და გალიპოლი.

**ბორდო.** 14 სექტ. „მატენის“ ცნობებით, გამიდ-ბეიმ „ტრიბუნის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ოსმალეთი დაიმედებულია თავის ძალებით და სურს დარჩეს დამოუკიდებლად და დაიცვას სტამბოლი ანტანტის კონტროლის გარეშე, გამიდ-ბეიმ გამოსთქვა იმედი, რომ ინგლისი უარს განაცხადებს სრუტეების კონტროლზე, ვინაიდან ოსმალეთი არ წარმოადგენს ინგლისის ახალ შენს.

**რომი.** 14 სექტ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, საბერძნეთის წარმომადგენლებმა ბუქარესტში და ბელგრადში წინადადება მისცეს რუმინიას და სამხრეთ-სლავიას ჩაერიონ ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტში „სტატუსქვოს“ დასაცავად.

**კროიდონი.** 14 სექტ. „ჟურნალის“ სიტყვით, მოკავშირეებს სრუტეების უზრუნველყოფა შეუძლიათ მხოლოდ სევრის ხელშეკრულებაში ფართო დათმობის გზით.

**სტამბოლში**

**ჰანოვერი** 14 სექტ. ჰავასის ცნობებით სტამბოლში სამხედრო წესების გამოცხადების გამო აკრძალულია დაღამების შემდეგ ყოველგვარი მოძრაობა ქალაქში და ხმების გავრცელება მომხდარ ამბების გამო.

# უცხოეთი

**ახოთ-ამწყობთა გაფიცვა.**

**მოსკოვი.** 14 სექ. ლიტვაში გამოცხადებულია ასოთ-ამწყობთა გაფიცვა, რომელნიც მოითხოვენ ჯამაგირის მომატებას.

**ერთიანი ფრონტი.**

**მოსკოვი.** 14 სექ. სტოკჰოლმში ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებზე სამივე მუშათა პარტიებმა—მემარჯვენე და მემარცხენე-ესდეკებმა და კომუნისტებმა დაარსეს ერთიანი ფრონტი. საარჩევნო მოწოდებაში ისინი მოითხოვენ ნორმალური დამოუკიდებლობის აღდგენას რუსეთთან.

**ავსტრიის კომპარტიის მოწოდება.**

**მოსკოვი.** 14 სექ. ბერლინში „როტე ფანე“-მ მოათავსა ავსტრიის კომპარტიის მოწოდება ავსტრიის მუშებისადმი.

მოწოდებაში აღნიშნულია ავსტრიის პროლეტარიატის უკიდურესი მდგომარეობა და წამოყენებულია მოთხოვნილება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მოწოდებაში აღნიშნულია ავსტრიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საერთო კონგრესის მოწვევის აუცილებლობა.

**შემთანხმებელთა შორის.**

**მოსკოვი.** 14 სექ. მაინის ფრანკფურტში შესდგა ვენის ინტერნაციონალის [illegible] თათბირი, რომელზედაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღეს რეზოლიუცია გერმანიის სოციალისტური პარტიისა, სხვადასხვა პროლეტარულ პარტიების ურთიერთობის შესახებ.

**შეკითხვა იაპონიის პრემიერისადმი.**

**მოსკოვი.** 14 სექ. ჩიტიდან იტყობინებიან, რომ „კესიკაის" პარტიის წარმომადგენლებმა ინახულეს იაპონიის პრემიერი კატო და მისცეს შეკითხვა, იაპონიის მთავრობა არ ფიქრობს მოლაპარაკებას საბჭოთა რუსეთთან და არ ცდილობს მასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. წარმომადგენლებმა აგრეთვე დასვეს მან კითხვა, თუ იაპონელები რატომ იყვნენ კონფერენციის სხდომების გახსნის წინააღმდეგნი.

**ვენიზელოსის გამგზავრება.**

**მოსკოვი.** 14 სექ. სამშაბათს პარიზში ჩავიდა ვენიზელოსი და ითათბირა პუანკარესთან. ხუთშაბათს ვენიზელოსი მიემგზავრება ლონდონში.

**ქემალ-ფაშის მოწოდება.**

**მოსკოვი** 14 სექ. ქემალ ფაშამ—ოსმალეთის ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სამი წლის ბრძოლას უკვე მოაქვს ბრწყინვალე შედეგები. ყოველგვარ საქმეს, რომელიც ემყარება ხალხის ნებისყოფას მოაქვს ბედნიერება ოსმალეთისათვის. ოსმალეთის ჯარების გამარჯვება უზრუნველყოფილია.

**მერიოს გამგზავრება.**

**მოსკოვი.** 14 სექ. პარიზიდან წასვლის წინ დეპუტატ ჰერიომ „პტი-ჟურნალის". კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იგი მიემგზავრება ბერლინში, რათა საბჭოთა წარმომადგენლობისაგან მიიღოს რუსეთში წასასვლელი გზა. რუსეთში იგი მიემგზავრება როგორც კერძო პიროვნება, ადგილობრივად მდგომარეობის გასაცნობათ და ისეთი კეთილი საქმის დასაწყებად, რომელიც შემდეგი ორივე ქვეყნის მთავრობისაგან მოწონებული იქნება. ჰერიოს სურს მთელი ენერგია და ღონისძიება მოახმაროს მშვიდობიანობის და კეთილ მდგომარეობის დამყარებას თავის ქვეყანაში და იმედი აქვს, რომ მისი გამგზავრება უშედეგოთ არ ჩაივლის

**მორიგი გადასახადის შეტანა გერმანიის მიერ.**

**მოსკოვი.** 14 სექტ. გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს 15 სექტემბრისათვის შეიტანოს 30 მილიონი მარკა ოქროთი.

**პრესის აზრი.**

**ჰანოვერი.** 14 სექ. იხილავს რა ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილებას, ბერლინის გაზეთები გამოსთქვამენ გაკვირვებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ასეთი გადაწყვეტილება ბერლინის მოლაპარაკების შემდეგ გაზ. „ლოკალ ანცეიგერი" სწერს, რომ მოცხადარ ფაქტის შემდეგ გერმანიის მთავრობას შეუძლია უპასუხოს ახალი უარით, თუნდაც იმიტომ, რომ მისთვის მეტად საძნელოა და თითქმის შეუძლებელიც 15 სექტემბრამდე 100 მილ. მარკის (ოქროთი) შეგროვება. ანალოგიურ აზრს გამოსთქვამს გაზ. „ტაგებლატი", რომელიც აღნიშნავს, რომ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ანტანტის მოთხოვნით სახელმწიფო ბანკი ეკონომიურ დაწესებულებათ გამოცხადდა, რასაც შედეგათ მოჰყვა ის, რომ გერმანიის მთავრობას არ აქვს უფლება ჩაერიოს ბანკის ოპერაციებში. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს: სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ უარი განაცხადა აწარმოვოს ძვირფასი ნივთების დახურდავებაზე 6 თვის განმავლობაში. გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგს" ბელგიის წინადადება მიუღებლად მიაჩნია და ამბობს, რომ გერმანიის საშველიობო წინადადებანი გაბათილდა ბელგიის კაბინეტის პასუხით. გაზ. „ფორვერტსი" ამბობს, რომ ჯერ კიდევ არის გამოსავალი, მხოლოდ, გაზეთის აზრით, უნდა გვახსოვდეს, რომ ცალმხრივი მოთხოვნილებათა საშუალებით არ შეიძლება მოისპოს ის უბედობა რომლის კლანჭებშიაც დღეს ევროპა იმყოფება. გაზეთის აზრით, საჭიროა ც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ამ უბედობას აქვს ერთი საბოლოვო შედეგი—იგი გადაჩეხავს გერმანიას უზრუნველობის უფსკრულში. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატი" ათავსებს იტალიის ყოფილ პრემიერის ნიტის წერილს, რომელშიაც უკანასკნელი ამტკიცებს, რომ ამერიკა არის პასუხისმგებელი ევროპის თანამედროვე კრიზისის გამოწვევაში.

ნიტი-ს სიტყვით, თუ რომ ამერიკას გამოეჩინა თავისი ნებისყოფა, თუ რომ ის მოსთხოვდა თავის მოვალეებს ვალების გადახდას და უარი განეცხადებინა თავის მოთხოვნილებაზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში, როდესაც მოვალეები უარს ეტყოდენ მძიმე ვალდებულებათა შესრულებაზე, იგი გამოვიდოდა სრული გამარჯვებული მშვიდობიანობის საკითხში. გაზ. „დეილ ხრონიკლის" აზრით, ბელგიის მთავრობის მოთხოვნილება სახაზინო ბონების უზრუნველსაყოფად ოქროს მარაგის შექმნის შესახებ, უდრის უარის თქმას გერმანიისათვის რაიმე შეღავათის მინიჭებაზე, ხოლო კრიზისი, რომელიც გახელებულად ივლებოდა, ხელ-ახლა წამოიშვა და, ამავე დროს კიდევ უფრო ძლიერად, ვიდრე იყო წინად და გერმანია იძულებული იქნება გადაიხადოს 30 მილიონი მარკა ოქროთი 15 სექტემბერს იმ ვალის ანგარიშში, რომლისათვისაც ანტანტამ უარი განაცხადა რაიმე მორატორიუმის მინიჭებაზე, გაზ. „ბერლინერ ტაგებლატის" მეთაური ამბობს, შეერთებულ შტატებმა უნდა გამოიჩინონ თავისი ნებისყოფა ევროპის კრიზისში, თუ რომ ამერიკა, იმის მაგიერ რომ შორიდან უცქიროს საერთო ნგრევას, დაჟინებით მოსთხოვდა ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას მათი ვალების გადახდას, და ამ შემთხვევაში თუ ეს სახელმწიფოები განაცხადებდნენ, რომ არ შეუძლიათ ვალების გადახდა, ამერიკას კომპენსაციის სახელით მოეთხოვა გერმანიაზე მოკავშირეთა უფლებების გადაქცევა, მაშინ ევროპის საკითხი სულ ადვილად გადაწყდებოდა.

# გერმანია და ანტანტა

**მოლაპარაკება ბელგიასა და გერმანიას შორის.**

**ბრიუსელი.** სექტემბრის 14-ს სამშაბათს დილით ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟასპარმა გადასცა გერმანიის რწმუნებულს ლანდსბერგს ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილება, ბელგია მოითხოვს აგვისტოს 15-დან სექტემბრის 15 მდე დაწესებულ გადასახადის ოქროს მარაგით უზრუნველყოფილ დირექტორებით დაფარვას, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს ერთ-ერთ ბანკში ბელგიის მთავრობის ჩვენებით.

**ნაუენი.** სექტემბრის 14-ს გერმანიის მთავრობას არ სურს მიიღოს ბელგიის წინადადება. ოქროს მარაგის შექმნა რომელიმე ბანკში არ იქნებოდა ძნელი, მაგრამ ასეთი გზა, რასაკვირველია ვერ გამოიწვევს მარკის დაცემის შეჩერებას, რასაც მოჰყვება სათანადო შედეგი.

ამ გვარადვე შექმნილ მდგომარეობას დროს არავითარი საჭირო იქნებოდა ანტანტისადმი თხოვნით მიმართვა მორატორიუმის შესახებ, შეიძლებოდა მხოლოდ სათანადო სესხის მიღება.

**ვირტის განცხადება.**

**ნაუენი.** სექტემბრის 14-ს უცხოეთის ჟურნალისტებთან საუბრის დროს ვირტმა განაცხადა: „რომ ბელგიის დელეგატებთან მოლაპარაკება სწარმოებდა საქმიან ნიადაგზე,—შ. ქვეყანა მიღწეულ იქნებოდა შეთანხმება, ხოლო მარკა შეიძლებოდა ცოტაოდენ სტაბილიზაციას. უკანასკნელი თავის მხრივ საშუალებას მისცემდა გერმანიას მოამზადებულიყო მომავალ კონფერენციისათვის, საკონტრიბუციო საკითხის გადასაჭრელად. გერმანიის მთავრობა უძლურია, რომ უფრო მეტს გამოიღებდა, არ მიაქციოს ბელგიის მთავრობა იმ მდგომარეობას, რაც უფრო მეტად ანგრევს ევროპის ინტერესებს, ვინემ თვით გერმანიისა.

**ინგლისის მრეწველები და გერმანიის საკითხი.**

**კრიტ. დონი 14 სექტ.** ინგლისის სავაჭრო საზოგადოებათა კრებაზე გუშინ მოისმინეს იქნა ეკონომიური კომისიის მოხსენება.

მოხსენება არკვევს იმ გარემოებას, რომ საკონტრიბუციო საკითხი გადაწყვეტილი უნდა იყოს პოლიტიკური და არა ეკონომიური პრინციპების მიხედვით. მოხსენება დაბეჯითებით მოითხოვს, რომ გერმანიას უნდა წარუდგინოს მხოლოდ ისეთი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება მას ძალუძს.

**ტარიფების მომატება.**

**ჰანოვერი 14 სექტ.** პირველი ოქტომბრიდან ბერლინის ქალაქის რკინის გზაზე ტარიფი გადიდებულია 100 პროც.

**მორიგი გადასახადები.**

**ბერლინი 14 სექტ.** ბერლ. ნიდან მოსულ ცნობების მიხედვით გერმანიამ აცნობა საფრანგეთს და ინგლისს, რომ 18 სექტემბერს იგი შეიტანს 500.000 გირვანქა სტერლინგს. დანარჩენ ნაწილის მორიგ გადასახადისას შეიტანს მაშინ, როდესაც საამისოდ პირობები ხელს შეუწყობენ მას.

**გარტის შეერთების გამო.**

**ჰანოვერი, 14 სექტ.** იტყობინებიან, რომ შინაური პოლიტიკის გართულების გამო, ვირტის შეერთებაში წასვლა გადადებულია სხვა დროისთვის.

**საკონტრიბუციო კომისიასთან მოლაპარაკება.**

**ბერლინი 14 სექტ.** გერმანიის დელეგატები ფიშერი და ბერგმანი გახდა აძიებენ ოფიციალურ მოლაპარაკებას საკონტრიბუციო კომისიასთან.

# ახალი ამბები

— **სტუდენტი—სტიპენდიანტები.** სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაგზავნილია მოსკოვში 59 სტიპენდიანტი სტუდენტი, მათ გარდა კიდევ წავა 2. სტიპენდიანტთა შორის ბევრი ყოფილი მოსამსახურეებია. ყველა მოსამსახურეებმა მიიღეს ენკენისთვის ჯამაგირი და ულუფაც წასვლის დროს. არა მოსამსახურეებს მიეცა 2 მილიონი გზაზე ქართული ბონით. სტიპენდიანტებს დაურიგდა, მანუფაქტურა, თითო ფუთი თეთრი ფქვილი, თითო ბოთლი კონიაკი და სხვა. გზა სტიპენდიანტებს დაეთმო უფასოთ. ისინი მოსკოვს 6 ენკენისთვეს გავიდნენ, ადგილზე სტუდენტები მიიღებენ უფასო ბინას და საწოლს და ყოველ-თვიურად ორ მილიონს ქართულ ბონებით, რომელსაც აძლევს მათ ს. ს. ს. რ. მთავრობა. 61—სტიპენდიანტს შორის 53 ვაჟია და 8 ქალი.

— **კომუნალური ბანკი.** ტფილისის საალმშენებლო კომუნალური ბანკის პროექტი გამომუშავებულ იქნა ტფილისის ქალაქის აღმასკომის მიერ, რომელიც წარედგინა ფინანსთა სახ. კომისარიატს დასკვნისათვის და სახ. კომისართა საბჭოს დამტკიცებისათვის.

— **მოსკოვის ტეხნიკურ გამოფენაზე.** მოსკოვში გამართულ ჰიდრალურ საალმშენებლო ტეხნიკურ გამოფენაზე უმაღლესი სამეურნეო საბჭო აგზავნის ზემო-ავჭალის ჰიდრალურ სადგურის ხაზებს და პროექტებს და სხ.

— **სკოლების რემონტი.** ქალაქის აღმასკომის სანიტარულ-ტეხნიკური საალმშენებლო განყოფილება შეუდგა ქალაქის სკოლების რემონტს.

## სამხატვრო ქრონიკა.

**ალ. სუმბათაშვილის იუბილე** სრულიად საქართველოს მსახიობთა კავშირის საბჭომ ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის იუბილეზე დასასწრებლად თავის წარმომადგენლად აირჩია ვ. საყვარელიძე, რომელიც ამ ჟამად იმყოფება მოსკოვში და რომელსაც უკვე გაეგზავნა შესაფერი მანდატი.

**ქართული დრამა.** რუსთაველის თეატრში ქართული დრამის სეზონის გახსნა განზრახულია შალვა დადიანის ისტორიული პიესა „გვარამი"-თ. ეს პიესა ავტორმა ორჯელ წაიკითხა ლიტერატურულ წრეთა შორის და დიდი ინტერესი გამოიწვია. პიესის დადგმა დაკისრებული აქვს რეჟისორ კოწ. ანდრონიკაშვილს. პიესა წავა სრულიად ახალ დეკორაციებში.

**ქიათურის თეატრი.** ქიათურიდან ჩამოვიდა მსახიობი ვ. ბარველი, რწმუნებული ადგილობრივი დრამატიულ წრისა, რომელსაც მოლაპარაკება აქვს რამოდენიმე ქართველ მსახიობებთან მომავალ სეზონისათვის ქიათურის თეატრში სამუშაოდ.

**ბაქოს თეატრი.** ბაქოს ქართველ კოლონიას გადაწყვეტილი აქვს აწარმოვოს წელს ქართული სეზონი. მსახიობთა მოსაწვევად ჩამოსულია ვ. მატარაძე და აწარმოებს მოლაპარაკებებს ქართველ მსახიობებთან.

**ავადმყოფობა.** მსახიობი კ. ცაცაშვილი ძლიერ ავადმყოფობს. განიცდის მატერიალურ გაჭირვებას.

**რუსული დრამა.** წელს ტფილისში რუსული დრამა იმუშავებს სახელმწიფო მცირე თეატრში. სხვათა შორის რუსული დრამის ადმინისტრაციას მოლაპარაკება აქვს ცნობილ რეჟისორ კ. მარჯანიშვილთან.

**ბლიუმენტალ-თამარინი** თავის გასტროლების შემდეგ მიემგზავრება მცირე ხნით ხარკოვსა და კიევში. განზრახვა აქვს კვლავ ჩამობრუნდეს, ტფილისში სეზონში სამუშაოდ.

**არტურ-ლეისტის იუბილე.** სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის დადგენილებით, ამ ახლო მომავალში გაიმართება ორმოცი წლის იუბილე გერმანელი მწერლის და ქართველი ხალხის დიდი მეგობარის არტურ-ლეისტის იუბილე. საიუბილეო კომიტეტის ასარჩევად პირველი სხდომა დანიშნულია ხელოვანთა სასახლეში სექტემბრის 18-ს, საღამოს 7 საათზე.

**ქუთაისის თეატრი.** ქუთაისიდან ჩამოვიდა სახალხო განათლების კომისარიატის რწმუნებული ბ. ბახტაძე და მოლაპარაკებას აწარმოებს მსახიობ ი. ზარდალიშვილთან მომავალ სეზონისათვის დასის შესადგენად.

**ქიათურის თეატრი.** მსახიობი ვ. ბარველი დაინიშნა ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭოს რწმუნებულად ქიათურაში.

**მოხსენებები.** კონსტანტინე გამსახურდია მოკლე ხანში, ხელოვანთა სასახლეში წარმოსთქვამს სიტყვებს: I ოსვალდ შპენგლერის ახალი წიგნი. II ვაჟა ფშაველა. III რიჰარდ დემელ.

**ქართული აკადემიური დრამის წლიური დასი.** ს. ს. ს. რ. სახ. განათლების კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტის მიერ 1922—23 წლეების სეზონისათვის ქართულ თეატრისათვის დამტკიცებულია შემდეგი დასი. ქალები: ჩხეიძე ნინო, ქიქოძე აბეტა, აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნინო, ჯავახიშვილი ნატალია, ქიქოძე ალისა, დონაური ელენე, ქავჟაძე თამარი, შოთაძე ანნა, ბეჟანიშვილი სუზანა, ციმაკურიძე ელეხე, წუწუნავა ცეცილია, რონელი ბარბარე, გამრეკელი ბარბარე, ამირაჯიბი ცაცა, შავიშვილი ბ. აბელიშვილი ანტონინა, ლოლუა არეთა. კაცები: იმედაშვილი ალექსანდრე, დავითაშვილი გიორგი, ვასაძე აკაკი, კორიშელი პლატონ, გამყრელიძე ვიქტორ, ფრონისპირელი გიორგი, საღარული მიხეილ, გოძელაური ზაქარია, ხოხელი შალვა, ღამბაშიძე შალვა, დადიანი შალვა, ჩხეიძე უშანგი, ციციშვილი ნიკოლოზ, გოცირიძე ნიკო, ჟორჟოლიანი ალექსანდრე, მჟავია დიმიტრი, ლორთქიფანიძე მიხეილ, სარჩიმელიძე გიორგი, ჯიქია ვიაჩესლავ. დამსახურებულნი: აბაშიძე ვასო, გუნია ვალერიან, ჩერქეზიშვილი ელისაბედ, მესხი ეფემია. რეჟისორები: კოტე მიხეილ, ანდრონიკაშვილი კონსტანტინე, ახმეტელი ალექსანდრე, ფალავა აკაკი. სუფლიორები: სანდალო (ს. გაჩეჩილაძე), მგალობლიშვილი ალექსანდრე (სეზონის). სცენარიუსები: იორდანიშვილი გიგო, ანთაძე ისაკ (სეზონის). თანამშრომლები: ვარდოშვილი მიხეილ, მამალაძე ვიქტორ, ნაცვლიშვილი დავით, დოლიძე, ბახტაძე გიორგი.

## პარტიაში

კვირას, ენკენისთვის 17, დილის 11 საათზედ „ტრიბუნის" რედაქციაში შესდგება მთავარ კომიტეტის მორიგი სხდომა. წევრებს ვთხოვთ აუცილებლად დაესწრონ და არ დაიგვიანონ.

# თეატრი და ხელოვნება

ამას წინათ ჩვენ გვქონდა საუბარი ქართული თეატრის კრიზისის შესახებ. ჩვენ აღვნიშნავდით იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ჩვენი თეატრი ვერ სდგას დღეს თავის სიმაღლეზედ და ვამბობდით, რომ საჭიროა მთელი თეატრალური ძალების მობილიზაცია შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ჩვენ ვფ[illegible] ბა მიიღ[illegible] ქართული [illegible] ჩვენი თეატრის საუკეთესო მუშაკებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მივდივართ სრულიად შეუფერებელი ნაბიჯი. სახ. განათლების კომისარიატის მიერ სათეატრო განყოფილების გამგეთ დაინიშნა მოქალაქე ლეგრანი.

ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, თუ რამოდენად შესწევს ქან ლეგრანს სათეატრო საქმის ხელმძღვანელობა საერთოდ, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ როგორი ენერგიისა და ცოდნის არ უნდა იყოს იგი, მაინც ვერ შესძლებს ქართული თეატრის ცენტრალური საქმის სათანადოთ წარმართვას.

თუ საერთოდ ყოველი მმართველობისათვის საჭიროა ადგილობრივი ძალებისა და პირობების ცოდნა, სათეატრო საქმისათვის ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თეატრის ხელმძღვანელმა, რომელსაც აბარია სათეატრო საქმე საქართველოს მაშტაბით, უნდა იცოდეს ჩვენი თეატრის მდგომარეობა, სათეატრო საქმის ვითარება, სათეატრო ძალების ხასიათი და სხ. და სხ.

შეუძლებელია რაიმე ნაყოფიერი მუშაობა, თუ კი ხელმძღვანელს არ ეცოდინება ზემოდ-მოხსენებული გარემოებანი. შეუძლებელი იქნება სათეატრო ძალების სათანადო გადაჯგუფება და მათი მიზანშეწონილად გამოყენება.

ქ—ნი ლეგრანი ქართული თეატრისათვის მეტად უცხო სტუმარია. მას არა აქვს ჩვენი სათეატრო საქმისა და ძალების შესახებ რაიმე ცოდნა. ასეთი პიროვნების თეატრის სათავეში დაყენება რაღაც უცნაურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენთვის დიდი და წარმოუდგენელი კურიოზი იქნებოდა, რომ საფრანგეთის თეატრის ხელმძღვანელმა ფრანგული ენა არ იცოდეს, საფრანგეთის თეატრს არ იცნობდეს, მაგრამ ჩვენს კურიოზულ ქვეყანაში ყოველივე შესაძლებელი ყოფილა.

ქ-ნი ლეგრანი, რომელიც შეიძლება დიდი სიმპატიებით ეპყრობა იყოს ქართული თეატრის საქმისადმი, მოკლებულია იმ ენის ცოდნას, რომელზედაც უნდა ლაპარაკობდეს ქართული თეატრი.

ამას გარდა აღსანიშნავია თვით ფაქტი არა ქართულის ენის მცოდნის დანიშვნისა ისეთ საპასუხისმგებლო და კულტურული მნიშვნელობის პოსტზე, რომელსაც წარმოადგენს განათლების კომისარიატის სათეატრო განყოფილება. ქართული ენის სახელმწიფოებრიობა არა ერთხელ იქნა დადასტურებული ხელისუფლების მიერ.

ჩვენ გვინდა ვკითხოთ განათლების კომისარიატს—ვინ არღვევს დადგენილებას ქართული ენის სახელმწიფოებრიობის შესახებ? ნუ ის კომისარიატი, რომლის უპირველეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს, როგორც განათლების საქმის ხელმძღვანელის, ქართული ენის უფლებების დაცვა?

ასეთი მოვლენა სრულიად დაუშვებელია ყოველ მხრივ.

ქართული თეატრის სათავეში მდგომი და მისი მთავარი ხელმძღვანელი ქართული ენის არა მცოდნე.

ეს ყოვლად დაუშვებელია.

ერთ წუთს წარმოვიდგინოთ რუსული თეატრის ხელმძღვანელად ვინმე სომეხი ან ქართველი, რომელმაც არც ერთი სიტყვა რუსულისა არ იცის. ეს ხომ სასაცილოზედ სასაცილო იქნებოდა. ჩვენში კი თვით სახალხო კომისარი არღვევს ქართული ენის სახელმწიფოებრიობის დებულებას და ვერ იცავს ქართული ენას არა მარტო საქმის წარმოების პროცესში, არამედ ქართული თეატრალური კულტურის ხელმძღვანელად ნიშნავს ქართულის არა მცოდნეს.

ეს კიდევ შეიძლება გამართლებული ყოფილიყო იმ შემთხვევაში, საქართველოში რომ არ არსებობდეს თეატრი და არც ერთი სათეატრო საქმის მცოდნე. მაშინ რა თქმა უნდა სხვა არა დაგვრჩენია უცხო სტუმრებს ვთხოვოთ დახმარება და შველა, მაგრამ ვის შეუძლია დღეს იმ აშკარა სისულელის თქმა, რომ ჩვენ არ გვყავს სათეატრო საქმის ხელმძღვანელად გამოსადეგი, გამოცდილი ელემენტები? ამ 70 წლის წინათაც ვორონცოვ-ც კი გიორგი ერისთავს მიმართავდა ქართული თეატრის ხელმძღვანელობისათვის, დღეს კი—ამდენი რამდენი დრო გავიდა, იმდენიდ ჩვენ უკან დავიხიეთ და საჭირო ხდება არა ქართული ენის მცოდნენი ვეძებოთ დიოგენის ფარნით ჩვენი თეატრის ხელმძღვანელობისათვის.

ნუ თუ მართლა ასე დავცენილვართ?

ამ გარემოებას ესაჭიროება ყურადღების მიქცევა.

ს.

# ეკონომიური ცხოვრება

**საქართველოს მარგანეცი.** მარგანეცი, ისე როგორც ყველა მადნებში, საქართველოს რესპუბლიკაში, გამოცხადებულია ნაციონალურ ქონებათ, მხოლოდ იჯარით გადაცემულია მარგანეცის მრეწველთა ფირმებისადმი.

ამ ფირმებიდან 64 პროც. ადგილობრივია, რომელთა გამგეობა საქართველოშია, ხოლო 35 პროც. უცხოელია: ომის დაწყებიდან, ე. ი. 1914 წ. მეორე ნახევრიდან მარგანეცის ამოღება შეჩერდა გატანის შეუძლებლობის გამო. 1918 წ. კვლავ დაიწყო მისი ამოღება და გატანასთან დაკავშირებით 1919 წ. რამდენიმედ გაიზარდა, მაგრამ 1921 და 22 წ. კვლავ შეჩერდა. მხოლოდ ეხლა სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა.

მარგანეცის მრეწველთა 22 ფირმა გაერთიანდა „ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოებაში" (ჩემო), რომელსაც 1919 წ. 2 აგვისტოს კანონით მინიჭებული აქვს მარგანეცის ექსპორტის მონოპოლია საქართველოს საზღვრებიდან. ეს კანონი დამტკიცებულ იქნა კვლავ 1921 წ. 25 აპრილს ს. ს. ს. რ. მთავრობის მიერ.

მაშასადამე მთელი ექსპორტი მარგანეცის „ჩემოს" ხელშია; საქართველოს მთავრობა თითეულ გაგზავნილ პარტიიდან ღებულობს 35 პროც. და გარდა ამის ადებს გადასახადს თითეულ ტონა მადანს 2 მილიონს და თითეულ ტონა მარგანეცს 4 მილიონ მანეთს. მარგანეცის გატანას მშვიდობიან დროში ეხლანდელთან შედარებით გვაჩვენებს შემდეგი ციფრები: 1912 წ. 55,8 მილ. ფ. 1913 წ. 65,8 მილ. ფ. 1914 წ. 43,6 მილ. ფ. 1915 წ. 1,3 მილ. ფ. 1916 წ. 1,8 მილ. ფ. 1917 წ. 2,9 მილ. ფ. 1918 წ. 2,0 მილ. ფ. 1919 წ. 0.3 მილ. ფ. 1920 წ. 10,7 მილ. ფ. 1921 წ. 1,6 მილ. ფ. 1922 წ. (6 თვე) 5,1 მილ. ფ.

ეხლა თვიურად გააქვთ 20,000 ტონამდი და განზრახულია გაადიდონ 30,000 ტონამდი. ეს დაახლოვებით ის რაოდენობაა, რომელიც თანამედროვე პირობებში შეიძლება გატანილ იქნეს რკინის გზის ჭიათურის შტოს მიერ.

საქართველოს მარგანეცი უფრო მაღალი ხარისხის არის ვიდრე ინდოეთის და ბრაზილიის. მარგანეცის მთელი გაყიდვა საზღვარ გარეთ ხდება ჩემოს კონტრაგენტის „ფლესინგის" სავაჭრო სახლით ჰააგაში.

მარგანეცის ამოღება მშვიდობიან დროის ამოღებასთან შედარებით ვითარდება შემდეგი სახით: 1913 წ. 56,2 მილ. ფ. 1914 წ. 40,4 მილ. ფ. 1915 წ. 15,7 მილ. ფ. 1916 წ. 14,7 მილ. ფ. 1917 წ. 12,5 მილ. ფ. 1918 წ. 1,6 მილ. ფ. 1919 წ. 3,3 მილ. ფ. 1920 წ. 5,5 მილ. ფ. 1921 და 1922 წ. ამოღება არ ყოფილა.

ამრიგად ამოღებაც, ისე როგორც გატანა 1914 წლიდან კლებულობს. წარმოების განვითარებას ხელს უშლის მთელი რიგი თანამედროვე პირობებისა.

ძალიან ხელს უშლის აგრეთვე ტრანსპორტს ადგილობრივი პირობები: რკინის გზის მოშლა, ფოთის ნავთსადგურის ამოსილვა, რის გამო ნავთსადგურში შესვლა არ შეუძლია 5,000 ტონის მეტ გემებს.

**მეაბრეშუმეობა ჩვენში.** საქართველოს სასოფლო მეურნეობაში, მეაბრეშუმეობა მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ომამდე საშუალო ყოველწლიური მოსავალი ნედლი პარკისა საქართველოში აღწევდა 130—135 ათას ფუთამდე. აქედან 40.000 ფუთამდე ხმელა პარკის (ან 120.000 ფ. ნედლი) ყოველ წლიურად გაჰქონდათ საზღვარ გარეთ. მაშინდელი დროის ფასით ეს იძლეოდა დაახლოებით 2 ნახ. მილიონ ოქროს მანეთს. ომმა დახურა საქართველოს ერთად ერთი საზღვარ გარეთული ბაზარი, ფასები პარკზედ დაეცა. დაეცა თვით წარმოებაც. კრიზისი გრძელდება აქნობამდეც, მაგრამ პარკის ოპერაციების შედეგებმა ამ წელში მოგვცეს იმედები უკეთესი მოსავლისა. მაშინ, როდესაც ნედლი პარკის მონოპოლიამ 1919 წელში მოგვცა—5.000 ფ. 1920 წ. 17.000 და 1921 წ.—12.000. მიმდინარე წელში საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ სასურსათო კომისარიატის გეგმით შეკრიბა დაახლოვებით 25,000 ფუთი. რეალიზაცია მაშინდელი პარკისა მთავრობამ გაატარა აგრეთვე საკმაოდ სასურველად: 3,800 ფ. გაყიდულ მშრალ პარკიდან მიიღეს 186.300 ოსმალური ქაღალდის ლირა, რაც ფუთიდან შეადგენს დაახლოებით 49 ლირას, ან რეალიზაციის დღის კურსით დაახლოვებით 70 მილ ოქროთი. ეს ფასი ძლიერ ახლო არის მშვიდობიანი დროის ფასებთან.

# თამბაქოს წარმოება ამიერ-კავკასიაში და მისი გაერთიანების შესაძლებლობა.

2.

სომხეთში მეთამბაქოეთა მრეწველობა არ არის გავრცელებული; თამბაქოს წარმოებას არა თუ არა აქვს მრეწველობის ხასიათი, არც შეიძლება მომავალში ექნეს. იგი ვერ გახდება საექსპორტო საქონელი. სომხეთში თამბაქოს წარმოების უმთავრესი ხელის შემშლელია ბუნება—ჰავა და ნიადაგი, რომელიც გარდაუვალ მიზეზად უნდა ჩაითვალოს.

ამის შესახებ ვალაპარაკოთ პროფ. გერტმანი; აი რას მოგვითხრობს: „სომხეთში თამბაქო გაშენებულია დაბლობ ადგილებზე, ხარისხით დაბალი; უმთავრესად ითესება „მახორკა"; ერევნის თამბაქო თითქმის უვარგისია ქარხანაში გადასამუშავებლად; აქაურ თამბაქოს არ აქვს სუნნელობა და სასიამოვნო გემო. თამბაქო მოიხმარება ადგილობრივად; ნაწილობრივად აქ თამბაქოს მცხოვრეობაში წამლად ხმარობენ."

პრ. გერტმანის ცნობით, სომხეთში გაშენებული ყოფილა თამბაქო 1915 წელს—153,7 დესიატინა და მოუწევიათ 3,292 ფ. დაბალი ხარისხის თამბაქო.

ასეთია მეთამბაქოობა ერთ ჩვენ მეზობელ რესპუბლიკაში, სომხეთში, მაგრამ შეიძლება მეორე რესპუბლიკაში, აზერბეიჯანში, ამ მხრით უკეთესი პირობა იყოს?

აზერბეიჯანი ორ უმთავრეს გუბერნიად იყოფოდა; ელისავეტპოლის და ბაქოს გუბერნიათ; განვიხილოთ თამბაქოს წარმოება თითეულ გუბერნიაში ცალკე.

ელისავეტპოლის გუბერნიაში თამბაქო მოუწევიათ.

| მაზრები | სოფელი | რაოდენობა ნათესის | მოსავალი დაბ. ხ. | თამბაქო მაღ. ხარ. |
|---|---|---|---|---|
| ნუხა | 44 | 118 | 10,200 | 20 |
| არეშის | 13 | 21 | 1,510 | 25 |
| ზანგეზურის | 8 | 15 | 67 | |
| ელისავეტპოლის | 3 | 0,3 | 104 | 55 |
| ჯევანშირის | 3 | 0,2 | | 7 |
| ყაზახის | 3 | 0,1 | — | 11 |
| სულ | 74 | 154,6 | 11,971 | 118 |

ელისავეტპოლის გუბერნიაში თამბაქო მოჰყავთ დაბალი ხარისხის—მახორკა; წლიური მოსავალი ვაინგარიშობთ საშუალოდ 12—14 ათასი ფუთი.

ბაქოს გუბერნიაში მეთამბაქოობას ეწევიან თითქმის ყველა მაზრებში გარდა ჯევათის, ლენქორანის და მუგანის. პრ. გერტმანის ცნობით 1915 წელს მეთამბაქოობას ეწეოდა 44 სოფელი და გაშენებული ქონდათ 48,7 დესეტინა. აღნიშნულ ადგილებიდან მოუწევიათ 2,033 ფ. დაბალი ხარისხის და 1.941 ფ. მაღალი ხარისხის თამბაქო.

ორივე ხარისხის თამბაქოს მოსავალი საშუალოდ წლიურად ვიანგარიშოთ 4.000 ფუთი.

ასეთია თამბაქოს წარმოება აზერბეიჯანში.

რომ ნათელი იქნეს ჩვენთვის თამბაქოს წარმოების მდგომარეობა სამ მეზობელ რესპუბლიკებისა, შევადაროთ საშუალო წლიური მოსავალი სამივე რესპუბლიკის.

საშუალო წლიური მოსავალი ფუთებში.

| საქართ. | სომხ. | აზერბ. | სამივე რესპ. |
|---|---|---|---|
| 820.000 | 3.300 | 4.000 | 827.300 |

როგორც ზემო აღნიშნულ ცხრილში ჩანს, ამიერ-კავკასიაში თამბაქოს საშუალო წლიური მოსავალი საერთოდ უდრის 827.000 ფუთს. მთელი მოსავლიდან საქართველოში უწევიათ 820.000 ფ. დანარჩენი 7.300 ფუთი კი სომხეთ-აზერბეიჯანში ერთად. ჩვენ თუ მივიღებთ საერთო მოსავალს 827.000 ფ. 100 ად, თამბაქოს მოსავალი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შემდეგ პროცენტებით გამოიხატება.

| | |
|---|---|
| საქართველო | 99,1 პროც. |
| სომხეთი | 0,4 „ |
| აზერბეიჯანი | 0,5 „ |

ასეთია სინამდვილე. ასეთი სახე აქვს თამბაქოს წარმოებას ამიერკავკასიაში.

ეხლა ჩვენ ვეკითხებით გაერთიანების მომხრე პოპოვიანებს: შესაძლებელია თამბაქოს წარმოებათა გაერთიანება ამიერ-კავკასიის მაშტაბით?

რასაკვირველია არა. ასეთი გაერთიანება შექმნის ხელოვნურ აპარატს, დასცემს ჩვენს მრეწველობას, ხოლო ამით ვერაფერი გაკეთდება მეზობელი რესპუბლიკებისათვის, რადგან იქ მრეწველობის განვითარებას დაუძლეველი, ბუნებრივი მიზეზები ედობება წინ.

პოპოვიანი ოდნავ თუ კი მაინც იცნობდა თამბაქოს წარმოებას ამიერ-კავკასიაში და, რაც უმთავრესია, ამიერ-კავკასიის ჰავას და ნიადაგს, მაშინ ასეთ შეუსაბამო საკითხს არ დასვამდა დღიურ წესრიგში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პოპოვიანი შეცდომაშია შესული. ამიტომ ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს სათანადო ორგანოებმა და ვინმეს შეცდომებს არ გადააყოლონ თამბაქოს მრეწველობის საქმე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელისუფლება ყურადღებით მოეპყრობა „გამაერთიანებელთა" პროექტებს და სათანადო ზომებს მიიღებს ისეთი მდგომარეობის შესაქმნელად, რომ არ შეფერხდეს არც ჩვენი და არც მეზობელ ერების ეკონომიური აღორძინების საქმე. პოპოვიანების პროექტები კი ამ საქმისთვის ყოვლად გამოუსადეგარია.

Wictor.

# მოწერილი ამბები

**უცოდინარობა თუ ბოროტ-მოქმედება?**

როგორც ყველგან, ისე ძველი სენაკის (სენაკის მაზრა) კოოპერატივში მართვა გამგეობა ებარა მენშევიკებს და „ძმათა მათ". ადგილობრივ ხელისუფლებას ეჭვი შეჰქონდა, რომ ეს ვაჟბატონები აქ მოკალათებულნი არიან და თავის შავ განზრახვებს აქედან ახორციელებენო. მოახდინეს მომმარებელთა საერთო კრება, გაამოაშკარავეს კოოპერატივის მართველთა ზოგიერთი ცოდვები. საერთო კრების საშუალებით გადააყენეს და დაატუსაღეს ისინი. საერთო კრებამ კოოპერატივის მეთვალყურე კომიტეტებში გაიყვანა ყველა პასუხისმგებელი კომუნისტები ამ თემისა და აგრეთვე სხვა პარტიებიდანაც. კოოპერატივის გამგეთ არჩეულ იქმნა გრ. ქავთარაძე და ნოქრათ ს. უჩავა (ორივე კომუნისტი.) გრ. ქავთარაძე იყო აგრეთვე მთლიან მუშათა კოოპერატივის გამგეთ. რამოდენიმე თვის შემდეგ მაზრიდან ჩამოვიდა რევიზია, რომელმაც კონტროლი გაუკეთა მუშათა მთლიან კოოპერატივის საქმეების მსვლელობას. რევიზიამ აღმოაჩინა, გამგეს გრ. ქავთარაძეს გაუფლანგვია კოოპერატივის თანხიდან 12 მილ. მან, როცა პასუხი მოსთხოვეს, უცოდინარობასა და გამოუცდელობას დააბრალა.

რამოდენიმე კვირის შემდეგ, რევიზია გაუკეთეს სამოქალაქო კოოპერატივს „შრომის კავშირს", რევიზიამ გამოაშკარავა 1. სრული უვიცობა 2. კოოპერატიული პრინციპების წამდა-უწუმ შელახვა, 3. გაფლანგვა საზოგადოების ქონების, და 4. სრული დაუდევრობა იმ პასუხისმგებელ ამხანაგებისა, რომელნიც ხალხმა კოოპერატივის მეთვალყურეთ აირჩია. რევიზიამ გამოაშკარავა შემდეგი ცოდვები: გრ. ქავთარაძეს გაუტანია კოოპერატივის თანხიდან რამოდენიმე მილიონი მანეთი (4 მილ). 8 მილიონ მანეთის კოოპერატივის საქონელი ნისიათ გაუცია, (რომელიც არღვევს კოოპერატივის წესდებას) ნოქარს ერთ მანეთიანი საქონელი სამწილ ზედმეტად გაუყიდია, ეს ზედ მეტი ფასი მიუსაკუთრებია, კოოპერატივის თანხებიდან 9 მილიონი მანეთი გაუტანია (ამას თვით ნოქარიც აღიარებს). ნოქარს მოუტანია ვიღაც კერძო პირიდან კირი დაუდვია კოოპერატივში და თავისთვის კერძო ვაჭრობა დაუწყვია.

ასეთი იყო მდგომარეობა სამოქალაქო კოოპერატივისა, ამიტომ მაზრიდან ჩამოსულმა პირებმა კოოპერატივი დაკეტეს საქმის საბოლოო გამორკვევამდის.

ეს რომ საზოგადოებამ შეიტყო, მოსთხოვა კოოპერატივის სარევიზიო კომისიას სრული ცნობები მიეწოდებია კოოპერატივის მდგომარეობის შესახებ საერთო კრებისათვის. საზოგადოება განცვიფრებული დარჩა, როცა სარევიზიო კომისიამ გამოაქვეყნა უკვე გაცნობილ ცოდვებზე დამატებით: კოოპერატივის დაკეტვის შემდეგ კიდევ გამოუტანიათ გამგეს და ნოქარს ათიოდე ფუთი ნავთი და მარილი.

ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასეთ ბოროტ-მომქმედთ პასუხს აგებინებდა.

მაგრამ მოვსტყუვდით. საზოგადოების ქონების აშკარა მძარცველები დღესაც იარაღში ჩასხმულნი ამაყად დასეირნობენ ძვ. სენაკის ქუჩებზე. ხალხს გული უცრუვდება კოოპერატივებზე და ლამის არის მისი ქონება დაიყონ.

დროა მთლიან მუშათა კოოპერატივთა სამართველომ და კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ მიაქციოს ყურადღება და გამოარკვიოს „ეს პატარა მარცხი" გრ. ქავთარაძეს და ს. უჩავას უცოდინარობით მოუვიდა, თუ ბოროტ-განზრახვით.

შან—ლასი.

# ივანე დ. გაფრინდაშვილი

გაზეთებმა მოგვიტანეს ცნობა, რომ ქუთაისში გარდაცვლილა 7 ამ თვეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ყოფილი ინსპექტორი ივანე დავითის ძე გაფრინდაშვილი.

ივანე გაფრინდაშვილი იყო გაბრიელ ეპისკოპოსის დროის ტიპის კაცი და მასთანვე იგი იყო მეტად გონიერი და დაუღალავი მუშაკი თავის საქმისა [illegible] იგი იყო [illegible] და [illegible] უცხრომელი [illegible] გახმაურება და ამის შესახებ ლაპარაკი სულ არ უყვარდა, იგი იყო თავის საქმის ერთგული მუშაკი და პირნათლად შემსრულებელი თავის თანამდებობის.

ამ თანამდებობაზედ იგი დაბერდა, მსახურებდა სულ ერთ ალაგას, ქუთაისს, თითქმის 40 წელიწადი მეტი და უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში, არ მომხდარა არც ერთხელ ისეთი რამ საქმე, რომ ივანე დავითის ძეს თავის სამსახურისათვის ეღალატნოს და ოდესმე თუნდ ერთ დღეს დაჰკლდებოდეს.

ამ გვარად ივანე დავითის ძე გაბრიელ ეპისკოპოსის დროის ტიპის კაცებს წინაშე, იგი წარსდგება პირნათლად და მათს მილეულებულს გულსა და სულს ის გარემოები, რომ მან ივანე დავითის ძემ შეასრულა პირნათლად ის ვალი და სამსახური საქართველოს ერის წინაშე, რასაც გაბრიელ ეპისკოპოსის დროის კაცები ყოველთვის პირნათლად და სიმართლით ასრულებდენ.

რის მაგალითიც გახლდათ თვით ეს ივანე დავითის ძეც და ვინც გარდაიცვალა 70 წელს მიღწეული მოხუცი იმერეთის ერის წინაშე ნაყოფიერად ნამუშაკევი და დაღლილი თავის სამაგალითოს წმინდის სამსახურით.

ზ. ჭ.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! ხარაგოულის სტუდენტთა საღამოს მომწყობი კომისია გთხოვსთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ: ხარაგოულის დრამატიულ დასს. იოსებ აბაშიძეს, სონა ხარაძისას შვილებითურთ, ევტიხი გაჩეჩილაძეს და ყველა მათ, ვინც უახლოესი მონაწილეობა მიიღო და ნივთიერ-მორალური დახმარება აღმოუჩინა სტუდენტთა საღამოს ჩატარების საქმეს.

ხარ. სტუდენტთა საღამოს მომწ. კომ. თავმჯდომარე ვ. ხარაძე.

მდივანი გ. თავზარაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი


## საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან მატყლის გატანა

ვინც არ უნდა წარადგინოს მატყლი გასაგზავნათ ნებადართულია, მხოლოდ მიღება და გაგზავნა საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატის ან მეცხვარეთა საზოგადოების „მწყემსის" მისამართით.

(№ 31. 3—3) ეკონომიური ნაწილის უფროსი მბელოვი.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოა

მთელ ლიანდაგზე, ბათომიდან სალოღლ-სადახლომდე ყველა შტოებით, ტვირთების გაზიდვა აკრძალულია.

ყველა წინანდელ განკარგულებათა შესაცვლელად არის განმარტება, რომ თანახმად საქართვ. სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობისა, ამის მიღებისთანავე ნება-დართულია ყოველგვარი ტვირთის გადაზიდვა, გარდა პარკისა, აბრეშუმის და მეაბრეშუმეობის სხ. პროდუქტების, მატყლის, აგრეთვე დაკეტილ მაზრებიდან ხორბლეულობის, რომელიც გადასაზიდათ საჭიროა სასურს. სახალხო კომისარიატის სპეციალური ნებართვა.

(№ 33. 3—3). რკინის გზების უფროსის მაგიერ ნ. ლედერი.

## კახეთიდან პურის ტვირთების გატანის აკრძალვა

საქარ. სასურსათო სახალხო კომისარიატის ა/წ. 9 აგვისტოს თარიღით და № 7884-ით ტელეფონოგრამის თანახმად; თელავის და სიღნაღის მაზრები სასურსათო გადასახადის აკრეფის დროს ხორბლეულის გატანის მხრივ გამოცხადებულია დახურულად, ნებადართულია ხორბლეულის მიღება და გაგზავნა მხოლოდ სასურსათო სახ. კომისარიატის მისამართით.

(№ 32. 3—3) რკინის გზების უფროსის მაგიერ ლედერი.


ტირაჟი 1000 საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრ. ფაბ. განყოფ. № 2 სტამბ. კრუზენშტერნის ქუჩა, ნ. დ. ს. გ.